საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ელიზბარაშვილი ნოდარ კლიმენტის ძე

ელიზბარაშვილი ნოდარ კლიმენტის ძე (დ. 28. VII. 1959, ბათუმი), გეოგრაფი. გეოგრ. მეცნ. დოქტორი (2003), პროფესორი (2004), ა. ჯავახიშვილის სახ. საქართველოს გეოგრ. საზ-ბის ვიცე-პრეზიდენტი მეცნიერებისა და უმაღლესი განათლების დარგში (2008), სამეცნ. ჟურნ. „საქართველოს გეოგრაფიის" მთ. რედაქტორი, თსუ-ის პროფესორი. 1982 დაამთავრა თსუ-ის გეოგრ.- გეოლ. ფაკ-ტი. 1985-იდან კითხულობდა ლექციებს თსუ-ში და ს.-ს. ორბელიანის სახ. პედაგოგიურ უნ-ტში. 2006-იდან თსუ-ის საქართვ. გეოგრ. და ლანდშაფტური დაგეგმარების მიმართულების ხელმძღვანელია, 2010-იდან – საერთაშ. გეოგრ. კავშირის ლანდშაფტური ანალიზის და ლანდშაფტური დაგეგმარების კომისიის ხელმძღვანელი. ე. 1998–2006 იყო თსუ-ის საქართვ. გეოგრაფიის კათედრის გამგე, 2005–06 – ვახუშტი ბაგრატიონის სახ. გეოგრაფიის ინ-ტის დირექტორის მოადგილე (შეთავსებით), 2006–08 – განყ-ბის გამგე, 2007–09 – სამეცნ. ფონდის გრანტის – „საქართველოს ნაციონალური ატლასი" – სარედაქციო ჯგუფის ხელმძღვანელი. ე-ის შრომები ეხება მთიანი ტერიტორიების ლანდშაფტურ-ეკოლოგიური დაგეგმარების საფუძვლებს, გამოიკვლია და დააფუძნა ლანდშაფტური დაგეგმარების მეთოდოლოგია საქართველოში. ე-ს გამოქვეყნებული აქვს მრავალი სამეცნ. შრომა (მ. შ. მონოგრაფიები) და სახელმძღვანელო.